სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

პროექტების რისკების შეფასების პოლიტიკა

პრეამბულა

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ის (შემდგომში „ფონდი“) პროექტების მართვის პროცესში რისკის მართვის მთავარი ბერკეტი არის იმ საინვესტიციო გარემოს შესწავლა, სადაც იგეგმება საინვესტიციო პროექტის (შემდგომში „პროექტის“) განხორციელება. როგორც წესი, რისკისა და გაურკვევლობის მაღალი დონე უარყოფით გავლენას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე შესაბამისად აუცილებელია სამომავლო პროექტში მათი სრულფასოვანი ანალიზი. ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიას, რომელსაც სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ რისკების მინიმიზაციისთვის საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოიყენებს.

მუხლი 1. ძირითადი რისკები

1.1 ფონდი ახორციელებს ძირითადი რისკების მონიტორინგს და რომელიმე მათგანის დადგომის შემთხვევაში, რომ მოხდეს რისკების შემცირება ან შერბილება.

1.2 რისკები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:

- ფინანსური რისკი - პროექტის დეფოლტი, ბიუჯეტის შეუსრულებლობა
- დაუფინანსებლობის რისკი - პროექტისთვის Financial Closure-ის ვერ მიღწევა;
- გარემოსდაცვითი რისკი - პროექტის შეუსაბამობა გარემოსდაცვით სტანდარტებთან მიმართებაში;
- ტექნიკური რისკი - რესურსების დეტალური შეფასების შედეგად, პროექტის feasibility-ს ვერ მიღწევა;
- სამშენებლო რისკი - დროულად დაუსრულებელი აქტივი ბიუჯეტის ან სპეციფიკაციის გამო.
- სოციალური რისკი - ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, გენერაციის ობიექტის მშენებლობის მიმართ;

მუხლი 2. რისკების დაზღვევის მექანიზმები

2.1 იმ შემთხვევაში თუ, პროექტი ინიციირებული იყო ფონდის მიერ, საპარტნიორო შეთანხმებით, ინვესტორისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს საბანკო გარანტიის წარმოდგენა პროექტის ინიციირების, მოწონებისა და პარტნიორთა შერჩევის წესის შესაბამისად.

2.2 საბანკო გარანტია წარმადგენს არა მარტო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ რისკების დაზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმს.

2.2 საპარტნიორო შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ინვესტორი ვალდებულია, წარმოადგინოს უპირობო და გამოუთხოვი საბანკო გარანტია და უზრუნველყოს მისთვის გადაცემული წილის, ფონდის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთვა ან სხვაგვარი უზრუნვეყოფის წარმოდგენა ფონდთან შეთანხმებით.

2.3 გამოუსწორებელი რისკის დადგომის შემთხვევაში, ფონდს აქვს უფლება, გამოიწვიოს ინვესტორის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუთხოვი საბანკო გარანტია და ამით მოხდეს რისკის დადგომით გამოწვეული ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება.

2.4 პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიის ოდენობის დადგენა ხდება ფონდის მიერ, შვილობილი კომპანიის კაპიტალში განხორციელებული შენატანის მიხედვით.

2.5 პროექტის ფარგლებში შედგენილი project implementation plan-ით გათვალისწინებული ნაბიჯების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საპარტნიორო შეთანხმებით

გათვალისწინებული პირობების მიხედვით, ფონდს ასევე აქვს უფლება, გაწყვიტოს ხელშეკრულება არსებულ ინვესტორთან და სრულად დაიბრუნოს პროექტი.

მუხლი3. რისკების შეფასების დოკუმენტი

3.1 რისკების შეფასების დოკუმენტი დგინდება პროექტის ხელმძღვანელის ან/და პროექტის განმახორციელებელი ფონდის შვილობილი კომპანიის მიერ ფონდის დირექტორის დავალების საფუძველზე.

3.2 რისკების შეფასების დოკუმენტის მომზადება იწყება წინასწარი შერჩევის სტადიაზე, პროექტის შემუშავებისას, და ვრცელდება რისკის რაოდენობრივ ანალიზზე, პროექტის საბოლოო შერჩევის/შეფასების ნაწილში.

3.3 რისკის რაოდენობრივი ანალიზი, მოიცავს სენსიტიურობის ანალიზს ან/და კრიტიკული მნიშვნელობების გამოთვლას. მაღალი სირთულისა და ინოვაციური პროექტების შემთხვევაში, საჭირო ხდება შედარებით უფრო მაღალი დონის რაოდენობრივი ანალიზის გამოყენება, რაც გულისხმობს კრიტიკულ პარამეტრებთან დაკავშირებული გაურკვევლობის შეფასებას (მაგალითად როგორიცაა, ხარჯის, დროის და მოთხოვნის შეფასება) და ინდივიდუალური გაურკვევლობების სავარაუდო კომბინაციას პროექტის მოსალოდნელი შედეგის მისაღებად.

3.4 რისკების შეფასების დოკუმენტი შედგენილ და წარდგენა უნდა მოხდეს ამ პოლიტიკსა და პროექტის ინიციირების, მოწონებისა და პარტნიორთა შერჩევის წესის შესაბამისად.

მუხლი 4 რისკების შეფასების დოკუმენტის გაზიარება და წარდგენა

4.1 რისკების შეფასების დოკუმენტის გაზიარება ხდება ელექტრონულად, პროექტის მართვაში ჩართულ ყველა პირთან .

4.2 კვარტალში ერთხელ, პროექტის მართვაში ჩართული ყველა პირი, ვალდებულია გამოაგზავნოს რისკების შეფასების ფურცელი პროექტის ხელმძღვანელის ან/და პროექტის განმახორციელებელი კომპანიის დირექტორის სახელზე.

4.3 პროექტის ხელმძღვანელის ან/და პროექტის განმახორციელებელი კომპანიის დირექტორის ვალდებულებაა, მიღებული რისკების შეფასების ფურცლების გაერთიანება და ანალიზის მომზადება.

4.4 პროექტის ხელმძღვანელის ან/და პროექტის განმახორციელებელი კომპანიის დირექტორის მიერ მომზადებული რისკების ანალიზი წარედგინება ფონდის მმართველ საბჭოს ან/და შვილობილი კომპანიის უმაღლეს მმართველ ორგანოს.

4.5 ძირითადი რისკების ჩამონათვალიდან, რომელიმე მათგანის დადგომის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის ან/და პროექტის განმახორციელებელი კომპანიის დირექტორის მიერ, მზადდება გამოსწორების გეგმა-გრაფიკი, რომელიც აუცილებლად მოიცავს გამოსწორებისთვის საჭირო ფინანსურ და დროის მაჩვენებლებს. აღნიშნული გეგმა-გრაფიკის დამტკიცება ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.